

ქართული გალობა  
ანთოლოგია

Georgian Chant  
Anthology

V



გამოცემა ეძღვნება  
საქართველოს სამოციქულო,  
ავტოკეფალური, მართლმადიდებელი ეკლესიის  
ავტოკეფალიის აღდგენიდან 100

და

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის  
ილია II-ის  
აღსაყდრებიდან 40 წლისთავს

\* \* \*

This Edition is Dedicated to the  
100<sup>th</sup> Anniversary of the Restoration of the Autocephaly  
of the Georgian Apostolic Autocephalous  
Orthodox Church  
and the  
40<sup>th</sup> Anniversary of the Enthronement of the  
Catholicos-Patriarch of All Georgia,  
Ilia II



საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი  
The Folklore State Centre of Georgia  
ფონდი ქართული გალობა  
Georgian Chanting Foundation

# ქართული გალობა ანთოლოგია ტომი V

დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიცია  
იოანე ოქროპირის, ბასილი დიდისა და  
პირველშენიერულის ლიტურგიები  
აღდგომის საგალობელნი  
სადღესასწაულო საგალობელნი წირვისა  
სადღესასწაულო „განიცადებები“

## Georgian Chant Anthology Volume v

The Chanting Tradition of Western Georgia

The Divine Liturgies of Saint John Chrysostom,  
Saint Basil the Great, and the Presanctified Gifts  
Paschal Hymns  
Festal Hymns of the Liturgy  
Festal Communion Verses

თბილისი  
Tbilisi  
2018





ანთოლოგიის V ტომში დაბეჭდილია იოანე ოქროპირის, ბასილი დიდისა და „პირველშენიერულის“ ლიტურგიების, ბრწყინვალე აღდგომისა და დიდ დღესასწაულთა საგალობლები, ფ. ქორიძისა და რ. ხუნდაძის მიერ 1904, 1908 და 1911 წლებში გამოცემული კრებულებიდან. ეს კრებულები ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაა ქცეული და I გამოცემის შემდეგ სრული სახით აღარ გამოქვეყნებულა.

წინამდებარე ტომში წარმოდგენილი, რ. ხუნდაძის მიერ გამოცემული ჰიმნები „სადა“ სტილისაა, ხოლო ფ. ქორიძის მიერ ნოტირებული დიდ დღესასწაულთა და, განსაკუთრებით, აღდგომის საგალობლები „გამშვენებული“ სტილის გამორჩეული ნიმუშებია.

Notation in this volume includes the liturgies of John Chrysostom and Basil the Great, the liturgy of the Presanctified, as well as chants of the Paschal feast and the processions for great feast services. These chants were transcribed by Philimon Koridze and Razhden Khundadze and published in 1904, 1908, and 1911. Since that time, these editions have been stored in the rare manuscripts library, and have never been republished.

The hymns transcribed by Razhden Khundadze are in the "plain" style, while those transcribed by Philimon Koridze (especially those for the Great Feast Days and Pascha) are in the "embellished" style.

**იდების ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი:** სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი  
Author and Project Leader: Svimon (Jiki) Jangulashvili

**V ტომის შემდგენლები და მუსიკალური რედაქტორები** — ლევან ვეშაპიძე და სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი  
Compilers and musical editors: Svimon (Jiki) Jangulashvili, Levan Veshapidze

**შესავალი წერილისა და კომენტარების ავტორი** — სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი  
Introduction and comments: Svimon (Jiki) Jangulashvili

**რედაქტორები:** რუსუდან წურწუმია და თამარ ჩხეიძე  
Editors: Rusudan Tsurtsumia, Tamar Chkheidze

**მთარგმნელები:** ერიკ ჰალვორსონი, მარიამ ცოცხალაშვილი, ლევან ვეშაპიძე (უმცროსი)  
**Translators:** Eirik Halvorson, Mariam Tsotskhalashvili, Levan Veshapidze (junior)

**ინგლისური ტექსტების რედაქტორი** — ჯონ გრემი  
English text editor: John Graham

**კომპიუტერული უზრუნველყოფა:** ლევან ვეშაპიძე  
Computer services: Levan Veshapidze

**დიზაინერი** — ნიკოლოზ გოგაშვილი  
Designer: Nikoloz Gogashvili

**პროექტის კოორდინატორი** — ნინო რაზმაძე  
Project coordinator: Nino Razmadze

© საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი  
Folklore State Centre of Georgia

© ფონდი ქართული გალობა  
Georgian Chanting Foundation

ISMN 979-0-802100-95-4 (ყველა ტომის)  
ISMN 979-0-802101-26-5 (მეხუთე ტომის)

## შესავალი

ანთოლოგიის V ტომში დაბეჭდილია იოანე ოქროპირის, ბასილი დიდისა და გრიგოლ დიდის ლიტურგიების, ბრწყინვალე აღდგომისა და დიდ დღესასწაულთა საგალობლები XIX საუკუნის ბოლოს გამოცემული კრებულებიდან:

1. ქართული გალობა: ლიტურგია იოანე ოქროპირისა, ბასილი დიდისა და გრიგორი ღვთის-მეტყველისა: პარტიტურა // ნოტებზე გადაღებული მღვდლის რაჟდენ თ. ხუნდაძის მიერ გურულ-იმერულ სადა კილოზე // ტფილისი: გამოცემა ესტატე სოლომანის-ძის კერესელიძისა, 1911;

2. აღდგომის საგალობელი // პარტიტურა №4 // იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების ხარჯით გადმოღებული ფილიმონ იესეს ძის ქორიძის მიერ; გადმოცემული: დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძისა და მღვ. ივ. წერეთლისაგან // გამოცემა მ. შარაძისა, ე. კერესელიძისა, ს. ლოსაბერიძისა და გარდაც. ვ. გძელიძისა — ტფილისი, 1904;

3. სადღესასწაულო საგალობელი წირვისა: (პარტიტურა №5) // ყოვლად სამღვდლო ეპისკოპოს გაბრიელის განკარგულებით ნოტებზე დანერილი // გადაღებული ფილიმონ ი. ქორიძის მიერ; გადმოცემული ანტონ ნ. დუმბაძისა, დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მღვ. რაჟდენ თ. ხუნდაძისა და ივლიანე ი. წერეთლისაგან // გამოცემა ე. ს. კერესელიძისა, ტფილისი, 1911;

4. გალობა: სადღესასწაულო განიცადებები // ტფილისი: მსწრაფლმბეჭდავი სტამბა „ძმობისა“, 1908.

\* \* \*

V ტომის 72 (№1—72) საგალობლის ჩამწერი და გამომცემელია დეკანოზი რაჟდენ ხუნდაძე. ამავე ტომში მოცემული 131 (№73—203) საგალობლის ჩამწერი და გამომცემელია წმიდა ფილიმონ მგალობელი, ერისათვის თავდადებული (ქორიძე). მან საგალობლები ჩაიწერა ძველი ქართული გალობის საუკეთესო მცოდნეების, სახელოვანი მგალობლების — ანტონ დუმბაძის, დიმიტრი ჭალაგანიძის, მღვდლების რაჟდენ ხუნდაძისა და ივლიანე წერეთლისაგან.

ქართული გალობის მოყვარულთათვის ცნობილია, რომ ხუნდაძის მიერ გამოცემული წირვის (ხუნდაძე, 1911) „სადა“ საგალობლები, მელოდიური და ფაქტურული სიმარტივით განსხვავდება ფ. ქორიძის მიერ ნოტირებული განვითარებული პოლიფონიური ფაქტურის მქონე „გამშვენებული“ საგალობლებისაგან. წინამდებარე შესავლის შემდეგ დაბეჭდილი ხუნდაძისეული „წირვის“ (ხუნდაძე, 1911) წინასიტყვაობიდან ვგებულობთ, რომ რ. ხუნდაძეს მის მიერ საგანგებოდ გამარტივებული წირვის საგალობლების ეს კრებული შეუდგენია და გამოუცია სპეციალურად გალობის შესწავლის პირველსაწყისი ეტაპისათვის.

ქორიძე-კერესელიძისეულ და ხუნდაძისეულ სანოტო ჩანანერებში იკვეთება დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციის „სადა“ სტილის ორი ვერსია. ქორიძე-კერესელიძისეულ „სადა“ და „ნამდვილი“ კილოს ჰიმნებში ტერციულ პარალელიზმთან ერთად, სტილური ნიშანია ზედა ორი ხმის ხშირი კვარტა-კვინტური ან სეკუნდური შეწყობა, ხუნდაძისეულ ჩანანერებში კი ჭარბობს ზედა ხმათა ტერციული პარალელიზმი.

ხუნდაძისეულ „სადა“/მარტივ საგალობლებში უფრო ინდივიდუალიზებულია ბანის პარტია, რომელსაც ნაკისრი აქვს „სადა“ სტილისათვის დამახასიათებელი პარალელიზმის რღვევის და პოლიფონიურობის გამდაფრების ფუნქცია. ხუნდაძისეულ მარტივ ჰიმნთა ზედა ორი ხმის „აუღელვებელი“ ტერციული ანსამბლის ფონზე ბანი, საპირისპირო მოძრაობით, შედარებით თამამად შედის ვერტიკალის ზედა ნევრებთან ფართო-ინტერვალურ ურთიერთობაში — სექსტის, სეპტიმის, ნონის და დეციმის ინტერვალებით. ხუნდაძისეული „სადა“ ჰიმნებისათვის დამახასიათებელი ეს ტენდენცია (I-III ხმათა სტერეოტიპული კვინტურ-ოქტავური პარალელიზმის გადალახვა), „გამშვენებულ“ საგალობლებში უკვე სტილური ნიშანი ხდება — მათი ფაქტურის სივრცული პარამეტრების, მათ შორის, ვერტიკალურის, გაზრდა, გამდაფრებული პოლიფონიზების პროცესის ერთ-ერთი ფაქტორი და ნიშან-თვისებაა.

\* \* \*

№73—203 საგალობლები „გამშვენებული“ ჰიმნებია. ზოგადად, უნდა აღვნიშნოთ, რომ I ტომში მოცემული წირვის საგალობლები და წინამდებარე ტომში მოცემული სადღესასწაულო საგალობლები (განსაკუთრებით, №73—125 აღდგომის ჰიმნები და №168—203 „განიცადეები“) შუა საუკუნეთა კონტრაპუნქტული აზროვნების უნიკალურ ნიმუშებსა და პოლიფონიური მუსიკის შედევრებს წარმოადგენენ.

ყოველი „გამშვენებული“ საგალობელი რომელიღაც „სადა“ ორიგინალის, ან მასთან საერთო არქეტიპული ინვარიანტის მელოდიურ-ფაქტურულად გარდაქმნილი ვარიანტია.

„გამშვენებული“ ქართული გალობის სტილური ნიშნებია:

არქეტიპული „სადა“ დედან-მელოდიის მელიზმატიკური გარდაქმნა, მისი კონტურული და რიტმული ცვლილება, მასში ახალი მელოდიური ფიგურაციების შემოტანა (ეს ხდება სამივე ხმაში, უფრო მაღალი ხარისხის ცვლილებებით II-III ხმებში); ფაქტურის პოლიფონიურობის და სამგანზომილებიანი სივრცული პარამეტრების გაზრდა; „სადა“ ორიგინალისაგან განსხვავებული ჰარმონიული მრავალფეროვნების შემოტანა; ფორმის სინტაქსური დაყოფის ვარირება, შესაბამისად — პოეტური ტექსტის ცეზურებისაგან აცდენილი ახალი მუსიკალური ცეზურების გაჩენა კომპოზიციაში და სხვ.



თავისი კრებულის წინასიტყვაობაში რ. ხუნდაძე აღნიშნავს: „გალობის გავარჯიშება (ხმის ტრიალი) შამოილეს, როგორც ვიცით გურიის უკანასკნელი მთავრის მამიას დროს, გურიაში. ამ დროიდან ნელ-ნელა გავრცელდა იმერეთისა და მეგრელების ეპარქიებშიაც... მთავრის დროს იყვნენ საუკეთესო მგალობლები: იოანე ცქიტიშვილი და მგალობელი ანთაძე (ნიკოლოზ); მთავრის სასახლეში ორი გუნდი იყო. ერთი დედოფლის სახელზე და მეორე მთავრის. მთავრის გუნდს ანთაძე ლოტბარობდა და დედოფლისას ცქიტიშვილი. მთავრის გალობები კილოზე გალობდნენ, დედოფლისა ვარჯიშით“ (ხუნდაძე, 1911:IV).

მამია V გურიელი (1789—1826) გურიაში მთავრობდა 1809—1826 წლებში. რ. ხუნდაძის მიხედვით, გამოდის, რომ „გამშვენება“, როგორც სიახლე და როგორც მუსიკალურ-ესთეტიკური ფენომენი XIX საუკუნეში წარმოშობილა, თურქეთის შემოსევებით შევიწროებული და მალევე რუსეთის მიერ დაპყრობილი გურიის მთავრის კარზე. ეს თვალსაზრისი ადეკვატურად არ ასახავს ისტორიულ რეალობას და მიგვაჩნია, რომ „გამშვენებული“ გალობა ქართულ მუსიკალურ აზროვნებაში გაცილებით უფრო ადრინდელი პროცესების გამოვლენა უნდა იყოს.<sup>1</sup>

\* \* \*

როგორც ანთოლოგიის სხვა ტომებში, წინამდებარე კრებულშიც, ჩვენი სარედაქტორო ჩარევა შემოიფარგლება ალტერაციის ნიშანთა ცვლილებითა და აშკარა შეცდომების გასწორებით, რაღა თქმა უნდა, ყველგან შესაბამისი მითითებით კომენტარებში.

სქოლიოებში დაბეჭდილია ორიგინალურ გამოცემებში არსებული ავტორისეული შენიშვნებიც.

როგორც ანთოლოგიის სხვა ტომებში, წინამდებარე კრებულშიც ვერტიკალური ნყვეტილი ხაზებით მოცემულია ცეზურები, რომლებიც ორიგინალებში აღნიშნული არაა ქორიდისა და ხუნდაძის გამოცემებისათვის ჩვეული ფერმატებით ან tenuto-ებით.

ანთოლოგიის შესავალ ნერილში (იხ. ანთოლოგიის I ტომი) მოცემული მითითებები ეხება ყველა და, მათ შორის, წინამდებარე ტომში დაბეჭდილ საგალობლებსაც.

ს. ჯანგულაშვილი

<sup>1</sup> ქართული გალობის განვითარების ისტორიული ეტაპების შესახებ, იხ.: ჯავახიშვილი, 1990; წურწუმია, 1991; ონიანი, 2004; წურწუმია, 2005; შულღიაშვილი, 2014; ჯანგულაშვილი, 2011.



## რ. ხუნდაძის „წირვის“ (ხუნდაძე, 1911) წინასიტყვაობა<sup>1</sup>

საზოგადოებრივ ცენტრში 1850 წლამდის ისე გავრცელებული იყო ქართული გალობა, რომ თვალსაჩინო ოჯახი ძვირათ მოიპოვებოდა, რომ გალობა არ სცოდნოდათ. ღვედელთ-მთავრებს, მთელათ ყველა საეკლესიო წიგნების მცოდნე გალობები ყავდათ და მთელი საღვთო მსახურება გალობით სრულდებოდა. დიდსა და საშვალო დღესასწაულებზე ღამის თევით ლოცვა, რომ დაიწყებოდა, სანინასწარმეტყველოს გარდა, რომელ საგალობელსაც თავზე ხმა უწერია ყველას გალობით იტყოდნენ. სახარების გათავების შემდეგ, პირველი სძლის-პირიდან დაწყებული მეცხრე გალობის გათავებამდე, ერთი რომელიმე მუხლის უგალობით ნაკითხვა შეუძლებელი იყო. ყველა დიდი წმინდის დღესასწაულებზე თუ მთლათ არ იტყოდნენ გალობით, სამწუხრო დასდებლებს და საცისკრო სძლის-პირებს მაინც იგალობებდნენ. გარდა ამისა, ამგვარ დღეების საგალობლებში: ძლიერი, საგულისხმო სიტყვებიანი მუხლები უთუოდ გალობით იცოდნენ.<sup>2</sup> აუარებელი გალობა საეკლესიო წიგნებში დაუნერელი ძველთა გალობლებთან შესხმათ თქმული, საუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაულებისა და სხვა და სხვა წმინდანების სახელობაზე (გალობის ხმაზე თქმული), როგორც სასულიერო შინაარსის, აგრეთვე საერო, რომელიმე გარემოების გამომხატველი, რომელსაც მოლხენის დროს იტყოდნენ — ნადიმზე.<sup>3</sup> ღამისთევითი ლოცვაში, თუ ორი გუნდი გალობდა, ორი კანანარხი ყავდათ: „იმირ და ამირ“ ტიპიკონისამებრ. დაიწყებოდა ლოცვა თუარა, მოაწყდებოდა ეკლესიას ლოცვის მსმენელნი, ასე, რომ ეკლესიაში ტევა ძლივს იყო. ამგვარ საღვთო მსახურების მოსმენით, სულით და გულით დამტკბარნი მლოცველები, სრულიად ვერ ამჩნევდნენ გალობის მიზეზით ლოცვის სიგრძეს; წმინდა, საღვთო აზრებით გატაცებულნი, ეკლესიიდან გამოსვლის შემდეგ, ძლივს, ძლივს, სულ გვიან ურიგდებოდნენ საამქვეყნო ზრუნვათა ფიქრს და მოქმედებას, რადგან სასოებით დამტკბართ, კვლავ გულიდან არ შორდებოდათ ეკლესიაში ნაგრძნობი სულისა და გულის დამამშვიდებელი საღვთო სიტყვები და ყურთა სმენის დამტკბობი, ზეცად გონების აღმავლენელი ხმები. ამ დროს ქართულ გალობას: ოქროს ხანა უდგა ჩვენში და დიდებულათ ყვაოდა იგი. ერთაშორის კი, ქორნილი და ნადიმი, ნახევარ ლოცვას წარმოადგენდა: თან სმა-ჭამა და მხიარულება იყო და თან ღვთის სადიდებელი სძლისპირების ღალადი. რომელ ქორნილსაც გალობა არ ამკობდა, არ ამხიარულებდა, ის ქორნილი უმნიშვნელო იყო. ჯერ „მამაო ჩვენოს“-ს იგალობებდნენ და მერე ლხინს პირველად ღვინის დალოცვიდანვე დაიწყებდნენ ასე: „დიდება აქვს ღმერთსა“, ღმერთო გაუმარჯვე სტუმრებსა და მასპინძელსა, — შენდობა ბატონო“.<sup>4</sup> სამ დღეს რომ

<sup>1</sup> სტილი დაცულია.

<sup>2</sup> მაგალითები იხილე ამ წიგნის ბოლოზე (იგულისხმება წინამდებარე კრებულში №68 და №71 საგალობლები).

<sup>3</sup> მაგალითები იხილე ამ წიგნის ბოლოზე (იგულისხმება წინამდებარე კრებულში №72 საგალობელი).

<sup>4</sup>რ. ხ.: აქ იწყებოდა სადღეგრძელოები, რომელსაც „მრავალუამირ“ მოყვებოდა. როდესაც ნადღეგრძელები სამადლობელს დაღემდა მაგალობები „მადლობელი ვარ“-ს იტყოდნენ. ლხინის წეს-რიგი კი ასეთი იყო: მეფე-დედოფლის სადღეგრძელოს გათავების შემდეგ მაყრულს იტყოდნენ: „მეფეო“. მერმე: „უკუნისამდე“, „ქორნილი წმინდა არს“, „მოსვლისა შენისა“, „გვირგვინი მკლავმა ძლიერმა დაგადგა“, „განელო სასძლო, განემზადა ქორნილი.“ „ვერიდა“ და სხვა და სხვა . . . ეს გალობები ჭრელებია, გრძელი და სასიამოვნო საყურებელი

გავრცელებულიყო ნადიმი, ერთსა და იმავე გალობას არ გაიმეორებდენ. რომ სხვა და სხვა გალობების სათაურები მის-მის დროზე, დაუგვიანებლათ მოგონებოდათ, ამისთვის გალობებს შემდეგი ხერხი ქონდათ შემოღებული: დაიწყებდენ პირველათ ისეთ გალობას, რომელნიც „ა“-ნით იწყებოდა; შემდეგ „ბ“-ნით და ასე ზემოდასე დავიდოდნენ თუ საჭიროება მოითხოვდა. ასე გავრცელებული იყო ჩვენში ქართული გალობა; მეტისმეტათ უყვარდათ, მეტისმეტათ პატივცემული იყო საზოგადოებისაგან კარგი გალობელი და ამიტომაც ყველანი სიამოვნებით და გულსმოდგინეთ სწავლობდენ და კიდევაც კარგათ, და მტკიცეთ იცოდენ. — ამის შემდეგ ნელნელა „დრონი იცვალნენ“, ახალი სწავლა-განათლების სიომ დაბერა და ახალი მოზარდი თაობა მას დაენაფა. სიყრმიდან მუდამ დღე, მუდამ წამში უცხო ხმების ყურში ჩაბერვამ, ძალა უნებურათ შეაჩვია, შეუსისხლხორცა უცხო ხმები, ისე რომ ქართული ხმები ქართველის სულსა და გულს ძველებრივის მესადათაც ველარ ათბობს (მე უფრო, გადაგვარებულებზე მოგახსენებთ). გალობის სასწავლათაც ყველანი სლავიანურისა და უცხო ხმების სასწავლათ მიიღტვის, რადგან აქედან მეტს ლუკმას მოელის და ასე ამ გვართ იკლო ქართული გალობის გავრცელებამ საზოგადოთ ჩვენში და დღეს მეტს ყურადღებას თხოულობს იგი, რომ კვლავ შემობრუნდეს. შემობრუნებისათვის კი, მიუცილებელი საჭიროა, ისევ, იმ ძირი გალობიდან დაწყება, რომლიდანაც მომდინარეობს გურულ იმერული რთული და გავარჯიშებულ-გადაკრიმანჭებული გალობა, რომელიც ასე ძნელი შეიქნა მისი შესწავლა გავრცელება თავისი სიძნელით (ვგულისხმობ ჩვენი ხელმძღვანელობით ქორიძისაგან გადაღებულ გალობას რომელიც კეც-კეცათ, აწყვია, უძრავათ). ვფიქრობთ ეს ჩვენგან გამოცემული წირვის გალობა იქნება ანბანი ამ მოხსენებელი ძვირფასი გალობისა. ამ კილო სადა გალობის გავრცელების შემდეგ, ეგებ მაინც ეღირსოს მასაც დაბეჭდვა-გავრცელება. ეს ჩვენგან გადაღებული გალობა არის, სადა და მარტივი, საადვილო კილო, რომელსაც გალობდენ თითქმის უკანასკნელ დრომდის. ის გალობის ბრწყინვალე ხანა, რომელსაც ჩვენ ზემოთ „ოქროს ხანა“ ვუნოდეთ, ვერ ითმენდა გავარჯიშებულ გალობას და საუკეთესო გალობლებთან ვერავინ გაბედავდა ერთხელვე დაფუძნებული კილოს სხვაგვართ შებრუნებას. ყველანი და ყოველგან სადა კილოზე გალობდენ. გალობის გავარჯიშება (ხმის ტრიალი) შამოილეს, როგორც ვიცით გურიის უკანასკნელი მთავრის მამიას დროს, გურიაში.<sup>5</sup> ამ

თავისი კილო მიმოხვრიოთ. ყოველი სადღეგრძელოს დასასრულ იწყებოდა სხვა და სხვა „სძლისპირ-საგალობლები“. სადღეგრძელოებზე გალობა შეჩერებული იყო. ასე, ამ გვართ გრძელდებოდა ლხინი.

<sup>5</sup>რ. ხ.: მთავრის დროს იყვნენ საუკეთესო მგალობლები: იოანე ცქიტიშვილი და მგალობელი ანთაძე (ნიკოლოზ); მთავრის სასახლეში ორი გუნდი იყო. ერთი დედოფლის სახელზე და მეორე მთავრის. მთავრის გუნდს ანთაძე ლოტბარობდა და დედოფლისას ცქიტიშვილი. მთავრის გალობლები კილოზე გალობდენ, დედოფლის ვარჯიშით. — საჭიროთ მიგვაჩნია აქვე აღვნიშნოთ 1840 წლიდან ყოფილი საუკეთესო და მთელი გალობის მცოდნეთ ცნობილი გალობლები; **იმერეთის ეპარქიაში:** 1) დავით ჩხარელი (ასე უძახდენ) შოთაძე. 2) არქიმანდრიტი სიმონ (წულუკიძე); 3) ძმა მისი თავ. ყარამან წულუკიძე; ძმანი: 4) სინო, 5) იოანე, 6) ბესარიონ კანდელაკები; 7) ოქროპირ კანდელაკი; 8) გოგინა დავითის ძე შოთაძე; 9) სიმონა კუტი ფირცხალავა (ხონის „სობოროზე“ იყო და ავრცელებდა გალობას); 10) ანტონ ქუთათელაძე დეკანოზი (ამ ანტონს, როგორც გამიგონია ჭალაგანიძის ქალი ჰყავდა, რომელიც სრული მგალობელი იყო); 11) ნიკიფორე კანდელაკი სინოს ძე, არქიმანდრიტი (როგორც ვიცით მთელათ ნიგნები იცოდა გალობით, მარა ცუდი ხმის მიზეზით აღარ გალობდა: სამაგიეროთ ძალიან საქები კანანარხი იყო); **გურიაში:** 12) იოანე ცქიტიშვილი; 13) მგალობელი ანთაძე (ასე უძახდენ) ნიკოლოზ; 14) დეკანოზი იოანე გოგიტიძე; 15) მღვდელი გიორგი დუმბაძე; 16) ანტონ ნიკოლოზის ძე დუმბაძე; 17) დეკანოზი დავით ანტონის ძე დუმბაძე (დღესაც არის); 18) იულო დუმბაძე; 19) ლვდელი მაქსიმე ჩხატარაიშვილი; 20) მაქსიმე წეროძე. **მეგრეთაში:** 21) გიორგი ჭალაგანიძე (გურიიდან გადმოსახლებული); 22)

დროიდან ნელნელა გავრცელდა იმერეთისა და მეგრელების ეპარქიებშიც. ამ უკანასკნელათ, ბოლო დროს სადა კილოზე აღარც კი გალობდენ ეკლესიაში. ამგვარათ სადა კილოს სწავლება გადავარდა იმ მოსწავლეთა შორის, ვინც ნამდვილ გალობლათ არ ემზადებოდა, რომელიც იშვიათათ ჩთებოდა და ისე ვინც სწავლობდა, პირდაპირ გავარჯიშებულათ სწავლობდა, რომ მაშინვე თქმა დაენყო გალობლებთან ეკლესიაში. ამ მიზნით, ვისაც პირველათ სადა კილოზე არ უსწავლია გალობა, ის ყოველთვის დაშორებულია გალობის ბუნებრივ სინამდვილეზე და ვერც შეატყობს თვითონ სწორეთ გალობს, კილოს შეთანხმებით თუ არა. ვისაც პირველათ სადა კილოზე უსწავლია, მას ყოველთვის ახსოვს ნამდვილი მოტივი, კილო, უცვლელათ და თუ ავარჯიშებს, კილოს შეთანხმებით აწარმოებს ხმის ტრიალსა და სასიამოვნო მიმოხვრას. ამ გვარათ, კილო (სადათ თქმა) არის საფუძველი გალობისა და გავარჯიშება ამის შედეგია. სასწავლებლებში გალობის მასწავლებლობამ უტყუარათ დამარწმუნა, რომ გაშვენიებული და ხმის ტრიალით გალობის სწავლება და გავრცელება ყოვლად მოუხერხებელია. ეს მე ძალიან მალე შევამჩნიე და რადგან სპეციალისტი და მუსიკალურათ განსწავლული არ ამოჩთა ისეთი, რომელსაც ეტვირთა შრომა, ხარჯი და გადაელო, ეს სკოლებში მიუცილებელათ საჭირო გალობა სადა კილოზე, მე თვითონ შეუდექი ამ შრომას, სადა კილოზე გალობის გადაღებას. გადავიღე წირვის წესები, ღამის თევის და სხვა მრავალი საგალობლები. ამის საჭიროება მოვახსენე იმერეთის სამღვდელოების დეპუტატთა კრებას. კრებამ გადაწყვიტა, რომ პირველათ დაბეჭდილიყო წირვის წესები ერთ ხმაზე, მერმე ღამისთევის ლოცვები და სხვა და სხვა. დაიბეჭდა მართლაც წირვა, პირველი ხმა, მაგრამ დანარჩენი დარჩა მხოლოდ გადაწყვეტილება ქალაღდზე. ასეა ყოველთვის საზოგადო საქმე. დღეს ამ წირვის გალობის პარტიტურათ გამოცემა იტვირთა ბ. ესტატე სოლომონის ძე კერესელიძემ, რისთვისაც დიდი მადლობის და პატივცემის ღირსია, რასაც ჩვენც სიხარულით მივეგებეთ. აქ ჩვენი შეძლებისა და გვარათ ავსწერეთ თუ რა მდგომარეობაში იყო ქართული გალობა ჩვენში და დღეს რა მოსპობის ხანას განიცთის ყველა ვხედავთ. ჩვენმა წინაპრებმა მეტის შრომითა და ღვანლით შექმნეს ეს ძვირფასი ქართული ხმები, ქართული გალობა. სირცხვილია ჩვენთვის, დღეს, მეოცე საუკუნეში, ამ დიდებული რამ გამოგონების ხანაში, ძველთაგან და დღემდის მონვენილი გალობა რომ დავკავოთ. ეს გალობა ქართველი ხალხის

---

დიმიტრი ჭალაგანიძე; 23) როსტომ ჭალაგანიძე; ძენი მისნი: 24) ოსია, 25) გიორგი, 26) დიტო ჭალაგანიძეები (დიტო დღესაც არის); 27) გიორგიტა გეგეჭკორი; 28) ძე მისი იოანე გეგეჭკორი; 29) არჩილ ივანეს ძე გეგეჭკორი; 30) სიკო გეგეჭკორი; თავადნი: 31) დავით (დათიკა) ჩიქოანი (მთავრის სახლთ უხუცესი); ძმა მისი 32) იოანე ჩიქოანი. 33) ჭყონდიდელ-მიტროპოლიტი ბესარიონ (მთავრის დადიანის ძე); ამან ზედმინვენით იცოდა ქართული გალობა და როცა 1813 წელში ჟამმა ამოწყვიტა მეგრელიაში გალობლები, ამ ბესარიონ მიტროპოლიტმა ასწავლა სრული გალობა ზემოთ დასახელებულ როსტომ ჭალაგანიძეს და მით შემოაბრუნა მეგრელიაში გალობა.

ესენი ზემოთ ნაჩვენებ დროის საუკეთესო და სრულ მაგალობელთაგან დავასახელეთ. 70-იან წლებიდან კიდევ იყვნენ საზოგადოთ იმერეთ-გურია-მეგრელიაში და ზოგნი დღესაც არიან 12 საუფლოს მცოდნე მაგალობლები, რითაც გათავდა ძველ საუკეთესო მაგაობელთა ნაშთი აუარებელი გალობის მცოდნენი, რომელთა მსგავსი ანი შეუძლებელია მოვძებნოთ. აი კიდევ ის მაგაობელნი: ნიკო მემძარიაშვილი; ოქროპირ კანდელაკი (მღვდ) ივლიანე წერეთელი (მღვდ.) რაფიელ კანდელაკი; ნიკოლოზ კანდელაკი; თავადნი: დათა გუგუნავა; მელქისედეკ ნაკაშიძე; არჩილ დადიანი; ჯამბაკურ გურიელი; ძმები ისი: ტელემავუ, ვახტანგ, ყურამან თავდგირიძე; სეფე გუგუნავა; სიმონ გუგუნავა. — აგრეთვე: არისტო ქუთათელაძე; ნანო ხაბთასი; ნესტორ კონტრიძე (მღვდ); მელიტონ ქელბაქიანი. თემურაზ გეგეჭკორი; მ. სვანიძე; მერაბა ცქიტიშვილი; კონსტანტინე თავდგირიძე. ასლან ერისთავი (რაჭისა) და სხვა;

გულიდან ამოღებული ჰიმნია; იმ დროს შექმნილი და ქართველთა სულსა და გულთან შესისხლხორცებული, როცა სარწმუნოება მტკიცე, ძლიერი იყო და როგორც ქართველთა ხმები, ისე ენა ზნე-წესი და ყოველი ელფერი ქართველს თავისი საკუთარი ჰქონდათ და არ იყო შერეულ გადამახინჯებული სხვათა ნაბადვით. ამ მხრით გულსაკლავია დღეს გალობის მდგომარეობა ჩვენში. ქართული ხმები გარყვნეს, გადაამახინჯეს. ხმებს მარტო წირვის წესზე ვამბობთ; აბა „რვა ხმათა“ და დღესასწაულის საგალობელთა შესწავლის მსურველი სადღაა?! . . . ვინაც ორიოდ ნოტები შეისწავლა, ჩაიგდეს ხელში ეს საცოდავი წირვის წესი და ჯიჯგნიან! . . . ყველა მონდომებულია სხვა და სხვა გვარი სახე მისცეს, თავის გემოზე გადააკეთოს ე. ი. ქართული სიტყვები მოუნეროს სლავიანურ სხვა და სხვა გალობათა ხმებს, ამ სიმახინჯით თავი მოსწონთ და სირცხვილათ არ მიაჩნიათ ის, რომ ერთი უბრალო ტროპარი არ იციან გალობით ქართულათ. სამწუხარო ის არის, რომ ერთი მასწავლებელი და მათი მონაფეები, მეორე სასწავლებლის მასწავლებელთან და მონაფეებთან ვერ იტყვიან, რადგან ყოველ სასწავლებელში თავისებურებაა. ამ გარემოებით და ხალხის თქმულებით: ცუდათ ჯდომას, ცუდათ შრომა სჯობსო, გავბედე და ვანვდი ამ ჩემს მცირე შრომას, ვისაც ქართული გალობის მასწავლებლობა უკისრია, იხელმძღვანელოს ამ შრომით და ნუ დაიკარგება, იმ საცოდავ მამაპაპათაგან (საცოდავი ჩვენ ვართ, ისინი კი, დიდებულნი) ნაშთი და ნაგალობევი ეს წირვის გალობა მაინც და დაკარგვათ ის აუარებელი და უთვალავი გალობათა დაკარგვაც გვეყოფა რაც ზემოთ მოვიხსენიეთ, თუ რომ მას არ გამოუჩიება აღმადგენელი ღვთის მოყვარე და საქმის მოკეთე ამ მცირე ხანში, რადგან მერე, დღეს რაც დაუკარგავია, იმის მცოდნეც აღარ გვეყოლება კიდევაც, რომ მოინდომოს ვინმემ მისი აღდგენა...

ჩვენში, პირველ დაწყებითი კილო წირვის გალობისა, ყოველთვის მარტივი იყო. ღვდელთ მთავრის წირვაში კი, უფრო რთულათ ამბობდენ. რადგან წირვის წესთაგან ზოგი გალობები სხვა და სხვა გვარათ იგალობება, ჩვენ ვეცადეთ და გამოვკრიბეთ და რაც უფრო საადვილო იყო ის დავწერეთ, მისთვის რომ სახეში გვქონოდა გაადვილება შესწავლის მსურველთა და განსაკუთრებით სოფლის სკოლების მასწავლებელთა და მონაფეთათვის. აგრეთვე ვიმეცადინეთ, რომ ბევრი ნიშნები არ ქონოდა, რომელიც სწავლების დროს სიძნელეს შეადგენს (ბემოლები, დიეზები, ატკაზები და სხ.) თუ ზოგიერთი გალობები დაბალი, ან მაღალი ტონით არიან დანერილი, გონიერ ლოტბარს ყოველთვის შეუძლია, მოსწავლეთა ხმის შესაფერი ტონით აგალობოს. ზოგან თითო ტაკტში ერთის მაგიერ ორი ნოტები დავსწერეთ; ერთ წყებას მაღლა აქვს ნოტს ფეხები და ერთს დაბლა; ან ერთი უნდა ითქვას და ან მეორე. — ჩვენ არ შეგვიძლია დავიტრაბახოთ, რომ ეს წიგნი შეუცთომელი გამოცემაა. შეიძლება ბევრი შეცთომაც იყოს შიგ, მაგრამ ამას კი ბეჯითად ვიტყვით, რომ კილო ქართული, მამაპაპურია და უცხო ხმებით შეუბღალავი. ვისურვებ, რომ ეს წიგნი გამხდარიყოს ჩვენში ქართული გალობის გავრცელების მიზეზათ.

მღვდელი რაჟდენ ხუნდაძე (1911)

## დამონმებული ლიტერატურა

კიკნაძე, გულნაზ (შემდგ.). (1982). *ნევმირებული ძლისპირნი* (ხელნაწერი A-603). მთ. რედ.: ელ. მეტრეველი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტი.

ონიანი, ე. (2004). *ნევმური დამწერლობა და ნევმების სისტემა ღვთისმსახურების ქართულ პრაქტიკაში (X-XI და XVIII საუკუნეების ხელნაწერთა მაგალითზე)*. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი: ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია, 2004.

შულღიაშვილი, დავით. (2014). *ქართული სამგალობლო სკოლები და რვახმის სისტემა (საგალობელთა სანოტო ჩანაწერების მიხედვით)*. საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრი. თბილისი.

წურწუმია, რუსუდან. (1991). *წინათქმა. კრებულში: ძველი ქართული პროფესიული მუსიკის ისტორიისა და თეორიის საკითხები*. სამეცნიერო შრომების კრებული. (რ. წურწუმია, რედ.). თბილისი: თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია. გვ. 3-10.

წურწუმია, რუსუდან. (2005). *მეოცე საუკუნის ქართული მუსიკა. თვითმყოფადობა და ღირებულებითი ორიენტაციები*. თბილისი: ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია.

ჯავახიშვილი, ივანე (1990). *ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები*. თბილისი: ხელოვნება.

ჯანგულაშვილი, ჯიქი (სვიმონ) (2011). *ქართული გალობის ესთეტიკა (არსი და მხატვრული მეთოდი)*. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. ხელნაწერის უფლებით. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორისაკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. სპეციალიზაცია — საეკლესიო მუსიკოლოგია — 100706. სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა ანდრიაძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი.

### გამოყენებული და დამონმებული სანოტო კრებულები

1. ქართული გალობა: ლიტურდია იოანე ოქროპირისა, ბასილი დიდისა და გრიგორი ღვთის-მეტყველისა: პარტიტურა // ნოტებზე გადაღებული მღვდლის რაჟდენ თ. ხუნდაძის მიერ გურულ-იმერულ სადა კილოზე // ტფილისი: გამოცემა ესტატე სოლომანის-ძის კერესელიძისა, 1911;

2. აღდგომის საგალობელი // პარტიტურა №4 // იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების ხარჯით გადმოღებული ფილიმონ იესეს ძის ქორიძის მიერ; გადმოცემული: დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძისა და მღვ. ივ. წერეთლისაგან // გამოცემა მ. შარაძისა, ე. კერესელიძისა, ს. ლოსაბერიძისა და გარდაც. ვ. გძელიძისა — ტფილისი, 1904;

3. სადღესასწაულო საგალობელი წირვისა: (პარტიტურა №5) // ყოვლად სამღვდლო ეპისკოპოს გაბრიელის განკარგულებით ნოტებზე დაწერილი // გადაღებული ფილიმონ ი. ქორიძის მიერ; გადმოცემული ანტონ ნ. დუმბაძისა, დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მღვ. რაჟდენ თ. ხუნდაძისა და ივლიანე ი. წერეთლისაგან // გამოცემა ე. ს. კერესელიძისა, ტფილისი, 1911;

4. გალობა: სადღესასწაულო განიცადებები // ტფილისი: მსწრაფლმბეჭდავი სტამბა „ძმობისა“, 1908.

## Introduction

In Volume 5, we include hymns for the liturgies of John Chrysostom, Basil the Great, and Gregory the Great, for Pascha and the great feast days from collections published at the end of the 19<sup>th</sup> century.

1. Georgian Chant: Liturgies of John Chrysostom, Basil the Great, and Gregory the Theologian - Score, Notated by Priest Razhden T. Khundadze in the Gurian-Imeretian Simple Style, Published by Estate Kereselidze, Tbilisi 1911;

2. Chants of Pascha, Score #4, Transcribed by Philimon Koridze, through Financing by the Clergy of the Diocese of Imeretia; Notated from Dimitri R. Chalaganidze, Archdeacon Razhden T. Khundadze, and Priest Ivliane Tsereteli; Printed by M. Sharadze, E. Kereselidze, S. Losaberidze, and Distributed by V. Gdzeldze, Tbilisi, 1904;

3. Festal Chants for Liturgy: (Score #5); Notated Per the Orders of His Eminence Bishop Gabriel (Kikodze); Transcribed by Philimon I. Koridze from Anton N. Dumbadze, Dimitri R. Chalaganidze, Priest Razhden T. Khundadze, and Ivliane I. Tsereteli; Published by E. Kereselidze, Tbilisi, 1911;

4. Chant: Communion Chants for Feast Days, Tbilisi, Rapid Printing Service “Dzmoba”, 1908.

\* \* \*

The notator and publisher of chants #1-72 of Volume 5 is Archpriest Razhden Khundadze. Chants #73-203 of the same volume were notated and published by St. Philimon the Chanter, Devoted to the People (Koridze). He had recorded the chants from the best experts in medieval Georgian chant - the famous chanters Anton Dumbadze, Dimitri Chalaganidze, Rev. Razhden Khundadze, and Rev. Ivliane Tsereteli.

Connoisseurs of Georgian chant know that the “simple style” chants for liturgy published by Khundadze (Khundadze, 1911) differ from the “embellished” chants, having a developed polyphonic texture notated by P. Koridze through their melodic and stylistic simplicity. It is understood from the foreword of Khundadze’s *“Liturgy”* (Khundadze, 1911), printed after the present introduction, that this collection of liturgical hymns were specially simplified and published by him as a beginning primer for studying chant.

Two versions of the “simple” style of the western Georgian chant tradition can be distinguished in the sheet music by Koridze, Kereselidze, and Khundadze. Along with tertian parallelisms in hymns of the “plain” and “real” modes by Koridze and Kereselidze, a stylistic feature is the frequent harmonization of the upper two voices in fourths, fifths, or seconds. In Khundadze’s manuscripts however, there is an abundance of tertian parallelisms in the upper voices.

5. The bass part is more individualized in Khundadze’s “plain” chants, having been tasked with the function of disrupting the parallelism characteristic of the “plain” style and intensifying the polyphony. This part enters comparatively boldly into wide interval relationships - sixths, sevenths, ninths, and tenths, with the bass moving against the backdrop of the “calm” tertian ensemble of the upper two voices of Khundadze’s simple hymns. Being characteristic of Khundadze’s “plain” hymns, this tendency (a violation of the quintal-octaval parallelism of the first and third voices) was already a stylistic feature of “embellished” chants. An increase of the spacial parameters of the

outer voice texture, including vertical harmonies, is one of the factors and qualities of the process of making the music more intensely polyphonic.

\* \* \*

Chants #73-203 are “embellished” hymns. In general, it must be noted that the liturgical chants shown in Volume 1 and the festal chants shown in the present volume (especially hymns #73-125 for Pascha and the communion hymns #168-203) represent unique works of medieval, contrapuntal thought and masterpieces of polyphonic music.

Every “embellished” chant is a variant of a “plain” original or its general, archetypal invariant transformed melodically and stylistically.

Stylistic features of “embellished” Georgian chants are:

A melismatic transformation of an archetypal, “plain”, original melody, a change in its contour and rhythm, an introduction of new melodic figurations (this occurs in all three voices, with higher degrees of changes in the second and bass voice; an increase of the polyphonic texture and three-dimensional, spacial parameters; more harmonic diversity in comparison to the “plain” originals; syntactic, subdivisional variations of the form, and thus an appearance of new, musical caesurae in addition to the caesurae of the poetic text in the composition.

Khundadze notes in the foreword to his own collection (Khundadze, 1911:IV): “Making chant more melismatic and polyphonic was introduced in Guria, as we know, during the time of Mamia, the last Gurian governor. From this time on, it gradually spread into the dioceses of Imereti and Mingrelia... The best chanters during the governor’s time were: Ioane Tskitishvili and the chanter Antadze (Nikoloz). There were two choirs at the governor’s palace. One for the governess and the other for the governor. Antadze was the choirmaster for the governor’s choir and Tskitishvili took charge of the other. The governor’s choir sang in the plain mode, the governess’ in the melismatic style.”

6. Mamia Gurieli V (1789-1826) was governor of Guria from 1809-1826. According to Khundadze, it turns out that embellishment, as an innovation and as a musical, aesthetic phenomenon, had originated in the 19<sup>th</sup> century at the court of the Gurian governor, harangued by Turkish invasions and soon invaded by Russia. This point of view does not adequately reflect the historical reality and it seems that “embellished” chant must be a phenomenon of even earlier processes in Georgian musical thought.<sup>1</sup>

\* \* \*

In other volumes of the anthology as well as in the present collection, our editorial intervention is defined by changes in accidentals and the correction of obvious errors, and of course, with the appropriate indications in the comments everywhere.

Notes by authors found in the original publications have also been printed in the footnotes.

Indications given in the introduction to the anthology (cf. Anthology, Vol. 1) touch upon all the chants, including those printed in the present volume.

**S. Jangulashvili**

---

<sup>1</sup> Regarding the developmental stages of Georgian chant, cf: Javakhishvili, 1990; Tsurtsunia, 1991; Tsurtsunia, 2005; Jangulashvili, 2011; Shughliashvili, 2014.

## Foreword by Razhden Khundadze. Printed in “*Liturgia*” (1911)

Generally, Georgian chant was so widespread in Imeretia until 1850, that it was difficult to find a prominent family that did not know chant. The hierarchs had chanters that were experts in all the ecclesiastical books and entire church services were performed with chant. When a vigil began on great and normal feast days, all the chants having a tone written at the beginning were performed, apart from the epistle. After the conclusion of the Gospel, it was impossible to read any verse without chanting it from the first heirmos to the end of the 9<sup>th</sup> Ode. If all the chants were not known for the feast days of great saints, verses for Vespers and the matinal heirmoi were at least chanted. Apart from this, in the chants of such days, verses with powerful, important words were most definitely chanted.<sup>1</sup> There are countless chants unwritten in ecclesiastical books that were chanted in tones by the old singers, on feast days of the Lord and the Virgin, and on the commemoration days of various saints. Songs having a spiritual content, as well as secular ones expressing the occasion, were sung during merrymaking - at the feast.<sup>2</sup> If there were two choirs at a nightly vigil, they had two canonarchs: there and here, according to the typicon. People would rush to the church to listen to the prayers, whether it had started or not, thus the church was packed. In listening to such a divine service, worshipers were unable to notice the length of the service due to the chanting, being delighted in heart and spirit. After emerging from church, it was quite difficult to at last think of earthly cares and actions, having been enraptured by pure, divine thoughts. This was because divine words calming the heart and soul heard in church and voices raising the mind up to heaven and delighting all those who listened were again not far from the heart. At this time regarding Georgian chant: a golden age had come to us and it bloomed gloriously. Even among the laity, weddings and feasts half resembled a church service, with eating, drinking, and merrymaking on one hand and on the other hand, the cry of heirmoi glorifying God. Whatever wedding was not adorned and made joyful with chant was an insignificant one. First “Our Father” was chanted and from the very first blessing of the wine, the feast would be started with “God Has the Glory”, “God bless the guests and host, forgive Master.”<sup>3</sup> If the feast continued on for three days, one and the same chant would not be repeated. In order for the titles of various chants to be remembered on time without any delay, the chanters had adopted the following trick: they would first begin with a chant that began with “A”, the next with “B”, and thus they would proceed if necessity demanded it. Georgian chant was widespread among us in this way. It was loved very much, a good chanter was greatly respected by society and this was why everyone studied it

---

<sup>1</sup> See some examples at the end of this book (chants #68 and 71 in the present collection are implied).

<sup>2</sup> See an example at the end of this book (chant #72 in the present collection is implied).

<sup>3</sup> R. Khundadze: “Toasts would begin here, followed by “Many Years”. When those who had been toasted drank their toast of gratitude, the chanters would sing “I Am Grateful”. The order of a feast was like this: after the end of the toast for a bride and groom, the bridal party would sing, “O King”, then “And Ever”, “Marriage is Holy”, “Of Thy Coming”, “A Mighty Arm Has Crowned You”, “The Bridal Chamber Has Opened, the Marriage Has Been Prepared”, “Evrida”, and others...these chants are embellished, long and pleasing to listen to with their modal turns. At the end of each toast, various eirmois/chants would begin. The chanting would be paused during the toasts, thus the feast continued on in this way.



zealously with pleasure. They knew the chants well and solidly. After this, times changed, a new kind of education wafted in on a breeze and the young generation avidly fell upon it. Every day, every second from their infancy, they involuntarily became accustomed to the sound of strange tones, with these tones becoming such a part of them that the Georgian tones can no longer give up even a hundredth of a Georgian's heart and soul (I am telling you more about the ones that have degenerated). When studying chant, everyone aspires to learning Slavonic and foreign styles because there is more money to be earned here. This is why the spread of Georgian chant has generally decreased among us and today it demands more attention so that it can return again. For its return, it is absolutely necessary for it to start from the roots of the chant from which the complex, highly embellished chant of Guria and Imeretia originated. It became difficult to disseminate and study the chants because of their complexity (I am implying the chant notated by Koridze under our guidance, which he had immovably composed layer by layer). We think the chants of liturgy published by us will be an elementary stepping stone for the precious chants mentioned. After the spread of this plain mode chant, perhaps it might be worthy of being printed and disseminated. The chant notated by us is plain and simple, an easy mode which was chanted up until recently. This brilliant era of chant called the "golden age" above could not put up with embellished chant and not any of the best chanters dared to return a mode established once before in a different manner. The plain mode was chanted by everyone everywhere. Embellished (melismatic) chant was introduced in Guria<sup>4</sup>, as we know, during the time of Mamia, the last governor of Guria. From this time on, it gradually spread to the dioceses of Imereti and Mingrelia. But in the end, plain chant was no longer performed in church. Thus the study of plain mode went out of fashion among students, who were not prepared as genuine chanters, and who increasingly

---

<sup>4</sup> R.Khundadze: Ioane Tskitishvili and the chanter Antadze (Nikoloz) were the best chanters during the governor's era. There were two choirs in the governor's palace, one for the governess and the other for the governor. Antadze was choirmaster for the governor's choir and Tskitishvili directed the governess' choir. The governor's choir chanted in the plain mode and the other choir chanted the embellished style. We consider it necessary to note the best experts of chant known since 1840; **Diocese of Imereti:** Davit Tskhareli Shotadze, Archimandrite Simon (Tsulukidze), his brother Karaman Tsulukidze, the brothers Sino, Ioane, and Besarion Kandelaki, Okropir Kandelaki, Gogina Shotadze, son of Davit, Simon Kuti Pirtskhalava (he was at Khoni Cathedral and promulgated chant), Archpriest Anton Kutateladze (as I heard, this is the Anton who was married to Chalaganidze's daughter, she was a perfect chanter), Archimandrite Nikiphore Kandelaki, son of Sino, he knew all the books of chant, but no longer chanted due to a bad voice, on the other hand he was a very commendable canonarch); **In Guria:** Ioane Tskitishvili, the Chanter Antadze (Nikoloz), Archpriest Ioane Gogitidze, Priest Giorgi Dumbadze, Anton Dumbadze, son of Nikoloz, Archpriest Davit Dumbadze (still around today), son of Anton, Iulo Dumbadze, Priest Maxime Chkhatarashvili, Maxime Tserodze; **In Mingrelia:** Giorgi Chalaganidze (transferred from Guria), Dimitri Chalaganidze, Rostom Chalaganidze, his sons Osia, Giorgi, and Dito Chalaganidze (Dito is still around today), Giorgita Gegechkori, his son Ioane Gegechkori, Archil Gegechkori, son of Ivane, Siko Gegechkori; the princes Davit (Datika) Chikoani (elder of the governor's house), his brother Ioane Chikoani, Metropolitan Besarion of Chkondidi (son of Dadiani the governor). Besarion had perfect knowledge of Georgian chant and when time did away with all the chanters in Mingrelia, the metropolitan taught Rostom Chalaganidze, who returned chant to Mingrelia.

These were the best and most perfect chanters during the time mentioned previously. From the 1870s on there were generally some others in Imeretia, Guria, and Mingrelia and even today there are some chanters that know all the major feast days. It is here that the remnant of the best old chanters knowing countless chants comes to an end, it is no longer possible to find anyone like them. Here are some more chanters: Niko Medzmariashvili, Priest Okropir Kandelaki, Priest Ivliane Tsereteli, Rafiel Kandelaki, Nikoloz Kandelaki; the princes Data Gugunava, Melchizedek Nakashidze, Archil Dadiani, Jambakur Gurieli, the brothers Telemagu, Vakhtang, and Kuraman Tavdgiridze, Sepe Gugunava, Simon Gugunava, as well as Aristo Kutateladze, Nano Khabtasi, Priest Nestor Kontridze, Meliton Kelbakiani, Temuraz Gegechkori, M. Svanidze, Meraba Tskitishvili, Konstantine Tavdgiridze, Aslan Eristavi of Racha, and others.

rarely appeared. Whoever studied, directly studied the embellished chants in order to begin singing with chanters in church. In view of this, whoever has not learned how to chant in the simple mode in the beginning is always distanced from the natural reality of chant and is unable to notice if they are chanting correctly in accordance to the mode or not. Whoever has learned simple chant initially always remembers the real motif, the mode without any changes. If they embellish it, the adornment of the voice and its pleasing turns are conducted in accordance with the mode. Thus the mode (plain chant) is the foundation of chant and embellishment is the result of this. I was undoubtedly convinced by teaching at institutes of chant that the study of embellished and ornamented chant and its promulgation is quite unfavorable. I picked this up quite soon and because there were no specialists and musically educated people to take on the work, the expenses, and the notation of this absolutely necessary chant in the plain mode in schools, I myself started this work, notating chant in the plain mode. I notated the liturgical rites, the nightly vigil, and many other chants. A meeting of deputies of the clergy of Imereti was informed about this necessity. The council decided to first print the liturgical rites in one voice, then the chants for vigil, etc. The first voice of liturgy was truly printed, but the remainder was only left as a decision on paper. Public business is always like this. Today, Mr. Estate Kereselidze (son of Solomon), has taken on the task of publishing the score for these liturgy chants, for which he is deserving of great gratitude and respect. We joyfully met with this as well. Here we have described in the best means possible what state Georgian chant was in and today we all see the time of ruin it is going through. These precious Georgian tones and chants were created through the work and labors of our ancestors. It is a shame for us in the 20<sup>th</sup> century, this era of great inventions, to lose the ancient chant surviving today. This chant is a hymn welling up from the hearts of the Georgian people, having been created during a time and become a part of the Georgian heart and soul when faith was solid and strong. This was a time when a Georgian person had their own language, morals of living, every nuance, and there was not the mixed, distorted things that come from mimicking others. In this aspect, the state of Georgian chant in this country is heartbreaking. The Georgian tones have been corrupted and distorted, as they are only being chanted during the liturgy. Well where is there someone desiring to study the eight tones and the chants of feast days?!... Whoever has learned around two scores, has shoved this wretched liturgical rite in their pocket and is tormenting it!... Everyone has a wish to give it various forms, transforming it according to their tastes by writing Georgian texts to the chant tones of various Slavonic hymns. They like themselves with this grotesqueness and don't consider it shameful that they do not know one simple troparion in Georgian. It is unfortunate that one teacher and their students are unable to sing with the students and teacher of another institute, because every institute is going their own way. With these facts, and the folk saying, "It is better to work poorly than to sit poorly", I gained courage and offer this little work of mine to whoever is in charge of teaching Georgian chant. They shall be guided by this work, and please, don't let this liturgical chant that has survived from those wretched ancestors be lost (we're wretched, they however are glorious). We have lost enough of

these myriad and countless chants mentioned above. If a lover of God and friend of work doesn't come along to restore it in this short time, due to what has already been lost today, we will no longer have any experts who will wish to restore it...

With us, the first elementary mode of liturgical chant was always simple. A hierarch's liturgy was more complex however. Because some of the chants from the liturgical rite are performed in various ways, we tried and gathered them together. We notated whatever was easiest in order to facilitate their study for those desiring to do so, especially for the teachers and students of village schools. We also tried for less accidentals, which represent a difficulty when teaching them (flats, sharps, etc.). If some chants are written in too high or low of a pitch, a clever choirmaster can always perform a chant for students at an appropriate pitch. In some measures we wrote two parts instead of one; one layer has stems pointing up and the other pointing down, either one or the other should be performed. We are unable to boast that this book is a faultless publication. There very well may be errors within, but we will assiduously say that the mode is Georgian, ancestral, and free from foreign tones (influence). I wish for this book to become a reason for the promulgation of Georgian chant in our country.

**Priest Razhden Khundadze (1911)**

## References

Kiknadze, Gulnaz. (1982). *Nevmirebuli dzlispirni (khelnatseri A-603) : (Neumatic heirmoi (original manuscript A-603)*. Es.: E. Metreveli. Science Academy of Ussr Georgia. Korneli Kekelidze National Manuscript Center. (In Georgian).

Oniani, Eka. (2004). *Nevmuri damtserloba da nevmebis sistema ghvtsimsakhurebis kartul praktikashi (X-XI da XVIII saukuneebis khelnatserta magalitze) : (Neumatic Script and Neumatic System in Georgian Divine Service Practice (on the Example of 10th-11th and 17th Century Manuscripts)*. Dissertation work. Tbilisi: V. Sarajishvili State Conservatoire. (In Georgian).

Shughliashvili, Davit. (2014). *kartuli samgaloblo skolebi da rvakhmis sistema (sagalobelta sanoto chanatserebis mikhedvit) : (Georgian Chanting Schools and Eight-tone System (Based on the Hymns in Notation Records)*. Chant Center of Georgian Patriarchy. Tbilisi. (In Georgian).



Tsurtsunia, Rusudan. (1991). Introduction. In: *Issues of the old Georgian professional music and theory* (Ed.: R. Tsurtsunia). Collection of scientific works. Tbilisi: Tbilisi Vano Sarajishvili State Conservatoire. P. 3-10. (In Georgian).

Tsurtsunia, Rusudan. (2005). *Meotse saukunis kartli musika. Tvitmkopadoba da ghirebulebiti orientatsiebi (20th century Georgian Music. The Individuality and Value Orientations)*. Tbilisi: V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire. (In Georgian).

Javakhishvili, Ivane. (1990). *kartuli musikis istoriis dziritadi sakitkhebi (The basic questions of the history of Georgian music)*. Tbilisi: Khelovneba. (In Georgian).

Jangulashvili, Svimon (Jiki). (2011). *kartuli sagaloblis musikaluri estetika, arsi da mkhatvruli metodi (Musical esthetics, essence and artistic method of Georgian chants)*. Dissertation work. Preserved at the V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire. (In Georgian).

### **Notated sources of Georgian Chants**

1. “kartuli galoba: liturghia ioane okropirisa, basili didisa da grigori ghvtismetkvelisa” (“*Georgian Chant: “St. John the Chrysostome’s Divine Liturgy”, Basil the Great and Gregory the great*”) : Score // Notated in Gurian-Imeretian *Sada Kilo* (Plain Mode) by priest Razhden T. Khundadze // Tbilisi : printed by Estate S. Kereselidze, 1911.

2. “aghdgomis sagalobelni” (“Easter Chants”) // Notation N4 // Notated by Philemon I. Koridze, through financing by the clergy from the Imereti Diocese; transmitted by: Dimitri R. Chalaganidze, arch-deacon Razhden T. Khundadze and priest Ivliane Tsereteli // Tbilisi : Produced by M. Sharadze, E. Kereselidze, S. Losaberidze and V. Gdzeldze – Tbilisi, 1904.

3. “sadghesastsaulo sagalobelni tsirvisa” (“Liturgy Chants for Feastdays”) : // (Notation N5) // Notated by Philemon I. Koridze, by the order of bishop Gabriel // transmitted by Anton N. Dumbadze, Dimitri R. Chalaganidze, arch-deacon Razhden T. Khundadze and Ivliane Tsereteli // Production by E. Kereselidze, Tbilisi, 1911.

4. “galoba : sadghesastsaulo ganitsadeebi” (“Chanting : Communion Verses for Feasts”) // Tbilisi : Printing-house “Dzmobisa”, 1908.



## ქართული ანბანის საერთაშორისო ტრანსკრიფცია International transcription of the Georgian alphabet

Mkhedruli	Roman	IPA	Examples	Pronunciation Tips
ა	a	/a/	f <u>a</u> ther	open "ah" vowel sound
ბ	b	/b/	<u>b</u> less	
გ	g	/g/	<u>g</u> iven	
დ	d	/d/	<u>d</u> ay	
ე	e	/ɛ/	s <u>e</u> t	open "eh" vowel sound, between "wet" or "wait". Spanish or German "e".
ვ	v	/v/	<u>v</u> et	vat/twine/tuft - this sound is often "w" when it follows another consonant, or sometimes like "f" when between consonants
ზ	z	/z/	<u>z</u> enith	
თ	t	/t <sup>(h)</sup> /	<u>t</u> oday	
ი	i	/i/	<u>m</u> ee <u>t</u>	bright "ee" vowel sound
კ	k'	/k'/	<u>p</u> ick	non-aspirated "k" has no "h" breathiness in it. Slightly percussive
ლ	l	/l/	<u>l</u> ife	
მ	m	/m/	<u>m</u> entor	
ნ	n	/n/	<u>n</u> ew	
ო	o	/ɔ/	<u>g</u> o	round "oh" vowel sound
პ	p'	/p'/	<u>u</u> p <u>k</u> ee <u>p</u>	non-aspirated "p" has no breathy "h" sound in it
ჟ	zh	/z/	plea <u>s</u> ure	
რ	r	/r/	-	Rolled "r" behind the upper teeth.
ს	s	/s/	<u>s</u> ee	
ტ	t'	/t'/	<u>s</u> i <u>t</u> com	non-aspirated "t"
უ	u	/u/	<u>r</u> oo <u>t</u>	pursed lips round "oo" vowel sound
ფ	p	/p <sup>(h)</sup> /	<u>p</u> ilgrim	soft "p" with plenty of "h" breathiness in it
ქ	k	/k <sup>(h)</sup> /	<u>c</u> all	soft "k" with plenty of "h" breathiness in it
